



1941/3-106/22 2 04032022

1941/3-106/22  
04-03-2022

საქართველოს თავდაცვის მინისტრს  
ბატონ ჯუანშერ ბურჭულაძეს

ბატონო ჯუანშერ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით.

გთხოვთ, გვაცნობოთ, რა სახის ღონისძიებები ტარდება შეიარაღებული კონფლიქტების მიმდინარეობისას თქვენდამი დაქვემდებარებული უწყების სამხედრო მოსამსახურეთა (ნებისმიერი კატეგორია) მხრიდან ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად ინფორმირებისა და განათლების მიზნით.

პატივისცემით

პარლამენტის წევრი  
ვლადიმერ ჩაჩიბაია



## საქართველოს თავდაცვის მინისტრი



MOD 0 22 00351238

28.03.2022

საქართველოს პარლამენტის წევრს  
ბატონ ვლადიმერ ჩაჩიბაიას

ბატონო ვლადიმერ,

თქვენი მიმდინარე წლის 4 მარტის №1941/3-106/22 წერილის (რეგ.:№255326; 04/03/2022წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ შეიარაღებული კონფლიქტების მიმდინარეობისას სამხედრო მოსამსახურეთა მხრიდან ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, საქართველოს თავდაცვის ძალებში მოსამსახურეთა ინფორმირებისა და განათლების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- თავდაცვის ძალების დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებში სამხედრო მოსამსახურეებს (ვადიანი, საკონტრაქტო (პროფესიული) და კადრის სამხედრო მოსამსახურეები) უტარდებათ როგორც ყოველთვიური გეგმიური, ასევე არაგეგმიური მეცადინეობები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე. წლის ბოლოს სამხედრო მოსამსახურეთა შეფასების შედეგებით ხარვეზების დაფიქსირების შემთხვევაში იგეგმება პირადი შემადგენლობის დამატებით გადამზადება. გარდა ამისა, საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეები სხვადასხვა ქვეყანაში (თურქეთი, გერმანია, შვეიცარია, ავსტრია, იტალია, შვედეთი) გადიან სწავლებას „შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის“ კურსებზე.
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის დანერგვასთან დაკავშირებით, შექმნილია სამუშაო და მონიტორინგის ჯგუფები. დამტკიცებულია „საქართველოს თავდაცვის ძალებსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის თანამშრომლობის სამუშაო გეგმა“, რომლის თანახმად, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ატარებს სემინარებს თავდაცვის ძალების პერსონალთან. წელიწადში მინიმუმ ორჯერ (ცალკეული გეგმით), ხორციელდება სამეთაური რგოლის გადამზადება შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის საკითხებში.



- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ყოველწლიურად ტარდება ტრენინგები, თავდაცვის ძალებში „შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის“ ინტეგრაციის ყოველწლიური თანამშრომლობის სამუშაო გეგმის შესაბამისად. ასევე, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია „შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის“ საგნის შესწავლა იუნკერთა სასწავლო ბატალიონის II და IV კურსის იუნკერებთან და უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის საკანდიდატო კურსის მსმენელებთან.

პატივისცემით,

მინისტრი  
ჯუანშერ ბურჭულაძე

